შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (10.020)

16-23 აპრილი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი მრიცხველები დედოფლისწყაროს!

გრაფიკი წყალზე და მოსახლეობის უცვლელი სკეპტიციზმი

დედოფლისწყაროში წყლის მრიცხველების ჩანაცვლების პროცესი იწყება. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მოსახლეობის ეზოებიდან ძველი მრიცხველების დემონტაჟი განხორციელდება და მათ ადგილს ახალი, თანამედროვე მრიცხველები დაიკავებს, რომლებიც საცხოვრებელი სახლების წინ დამონტაჟდება.

სიახლის დანერგვის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც პრობლემები შეიქმნა მოხმარებული წყლის ანათვალის აღების პროცესში. „მოგეხსენებათ, რომ წყლის მრიცხველები მოსახლეობას ეზოებში აქვს დამონტაჟებული. ოჯახის წევრები სახლში თუ არ არიან, ეზოში შესვლა და დახარჯული წყლის მონაცემების აღება ვერ ხორციელდება. ამის გამო, ჩვენს თანამშრომლებს ერთ ადგილას რამდენჯერმე უწევთ მისვლა და ზოგჯერ ვერც ახერხებენ საჭირო მონაცემების აღებას. ეს კი პრობლემას ქმნის გადასახადის თვალსაზრისით“-აცხადებენ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრში.

მოსახლეობის ერთი ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა მოსალოდნელ სიახლეს. ისინი ფიქრობენ, რომ გარეთ გატანის შემთხვევაში, მრიცხველების სათანადო დაცვა ვერ მოხდება და ისინი დაზიანებისგან არ იქნება დაზღვეული. წყალმომარაგების კომპანიაში უსაფუძვლოს და აბსურდულს უწოდებენ მოსახლეობის ეჭვებს და ამბობენ, რომ ახალი მრიცხველების მონტაჟი სათანადო უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით მოხდება და დაჩიპული მრიცხველიდან მოხმარებული წყლის აღრიცხვაც გაცილებით იოლად და ეფექტურად განხორციელდება.

ძველი მრიცხველების ახლით ჩანაცვლების პროექტი მოსახლეობის კიდევ ერთი უკმაყოფილების მიზეზი გახდა: აბონენტები ფიქრობენ, რომ ახალი მრიცხველების გარეთ გამოტანა მათივე სახსრებით მოხდება. ამის პრეცედენტი უკვე დაფიქსირდა-რამდენიმე ოჯახმა მუშახელი დაიქირავა და ახალი მრიცხველისთვის განკუთვნილი ორმო მათ გაათხრევინა. ამ ფაქტს უარყოფენ წყალმომარაგების კომპანიაში და აცხადებენ, რომ ყველა საჭირო სამუშაოს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შეასრულებს. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ახალი მრიცხველების მონტაჟს სამშენებლო კომპანია „კომფორტი“ ახორციელებს.

წყლის მრიცხველების ცვლილების პროცესს წყლის გრაფიკის ცვლილებაც მოჰყვა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროელები სასმელ წყალს დღეგამოშვებით მიიღებენ.

მწვანე და სუფთა გარემოსათვის

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, კახეთის მხარის ადმინისტრაციის, მერიის მხარდაჭერითა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ ინიციატივით, დედამიწის დღესთან დაკავშირებული კვირეულის კამპანიის „დავასუფთავოთ საქართველო“ ფარგლებში დასუფთავების აქცია გაიმართა.

კამპანიის ფარგლებში, ქალაქად და ადმინისტრაციულ ერთეულებში, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მყარი ნარჩენებისაგან დასუფთავდა ქალაქის სკვერები, ელიის მთისა და შინმოუსვლელთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორია. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მუნიციპალური ა(ა)იპებისა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებმა მიიღეს.

აქციის მთავარი გზავნილია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, მწვანე და სუფთა გარემოს შენარჩუნება და ამ კუთხით მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.

C M Y K

საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა უკრაინისთვის ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებით

საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა უკრაინისთვის 400 ტონა ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებით. შესაბამის ოფიციალურ მონაცემებს უკრაინის სახელმწიფო ფოსტა ,,Ukrposhta“ ***აქვეყნებს.***

ამავე უწყების ცნობით, საქართველო იმ 14 ქვეყანას შორისაც დასახელდა, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს საშუალებას უფასოდ გააგზავნონ საფოსტო გზავნილები (ამანათები) უკრაინის მიმართულებით მათთვის სასურველ ადრესატებთან.

„ukrpoStis“ მონაცემებით, მეორე ადგილზეა რუმინეთი - 80 ტონა ჰუმანიტარული ტვირთით, მესამეზე კი ბელგია 40 ტონა ტვირთით. უკრაინის ფოსტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია 1-ლი აპრილის მონაცემებს ასახავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, უკრაინაში პირველი ჰუმანიტარული ტვირთი თებერვალში გაიგზავნა. ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ყველა რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა და უკრაინაში გაიგზავნა რამდენიმე კვირის წინ.

უკრაინელთა დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვა და უკრაინაში გააგზავნა საქართველოს პარლამენტმა, თბილისის მერიამ, საპატრიარქომ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ.

გარდა ამისა, მთავრობის ინიციატივით, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ კამპანია „აწარმოე უკრაინისთვის“ წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც ქართული კომპანიების წარმოებული ან მათ მიერ შეძენილი სხვადასხვა საჭიროების პროდუქცია უკრაინაში სამ ეტაპად გაიგზავნა.

უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთების გაგზავნა ლოგისტიკურად „საქართველოს ფოსტამ“ უზრუნველყო უკრაინის ფოსტასთან თანამშრომლობით. ამასთან, „საქართველოს ფოსტამ“ დაიწყო კამპანია და უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფიზიკური პირებისგან, უფასოდ აგზავნის ჰუმანიტარული დანიშნულების საფოსტო გზავნილებს უკრაინის მიმართულებით.

ასევე, „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლებმა, უკრაინის სახელმწიფო ფოსტის „Ukrposhta“ თანამშრომლებს, სოლიდარობის ნიშნად, გაუგზავნეს ჰუმანიტარული დანიშნულების ამანათი.

უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე საქართველოდან უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, სხვადასხვა საჭიროების პროდუქცია, მათ შორის საკვები და სასმელი პროდუქცია, პირველადი მოხმარებისა და სამედიცინო დახმარების ნივთები გააგზავნა.

თურქეთიდან იმპორტირებული წამლების სია გაფართოვდა

თურქეთიდან იმპორტირებული წამლების შეძენა 7 დიდ სააფთიაქო ქსელშია შესაძლებელი. იაფი მედიკამენტები „ფარმადეპო“-ს, „ავერსი“-ს, „PSP“-ს, ***„იმპექსი“-ს, „GPC”-ს, „ფარმსახლი“-ს და „დოიჩე აფთიაქი“-ს ქსელშია ხელმისაწვდომი.***

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატებისა და მიმწოდებელი ფარმაცევტული დაწესებულებების სია მუდმივ რეჟიმში იზრდება.

თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტის ტემპის გაზრდის მიზნით, ჯანდაცვის მინისტრის ინიციატივით, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო სამკურნალო საშუალებებს პროაქტიულად არეგისტრირებს. აღნიშნული წესით, სააგენტომ უკვე 213 პრეპარატი დაარეგისტრირა, რომელთა ქვეყანაში შემოტანა, ფარმაცევტულ კომპანიებს კიდევ უფრო გამარტივებული წესით შეუძლიათ. ცვლილება ქვეყანაში მედიკამენტების იმპორტს კიდევ უფრო გაამარტივებს და საქართველოს ბაზარზე, ფარმაცევტული პროდუქტის ფართო ასორტიმენტის არსებობას უზრუნველყოფს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად, მედიკამენტების ფასი, საშუალოდ, 60-80%-ით შემცირდა. თურქეთიდან იმპორტირებული წამლების ჩამონათვალი მოწოდებულია ფარმაცევტული სექტორის მიერ და განახლდება კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

მედიკამენტების ჩამონათვალსა და აფთიაქების მისამართებს, სადაც მათი შეძენა არის შესაძლებელი ქვემოთ გაეცანით:

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების ჩამონათვალი „ჯპს“-ის ქსელში.

აკლასტა ხსნარი საინფუზიო 5მგ/100მლ ფლაკონი
ამარილი ტაბლეტი 4მგ
არიმიდექსი ტაბლეტი 1მგ
ბეტასერკი ტაბლეტი 16მგ
ბრილინტა ტაბლეტი 90მგ
გალვუს მეტი ტაბლეტი 50მგ+1000მგ
გალვუს მეტი ტაბლეტი 50მგ+850მგ
გალვუს ტაბლეტი 50მგ
გლუკოფაჟი ტაბლეტი 1000მგ
დიოვანი ტაბლეტი 160მგ
ვოლტარენი ემულგელი გელი 1% 50გრ ტუბი
იანუვია ტაბლეტი 100მგ
იანუმეტი ტაბლეტი 50მგ+1000მგ
კო-დიოვანი ტაბლეტი 160მგ+12.5მგ
კრესტორი ტაბლეტი 10მგ
კრესტორი ტაბლეტი 20მგ
პლავიქსი ტაბლეტი 75მგ
სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო 160მკგ+4.5მკგ/1დოზა 60დოზა ფლაკონი
სირდალუდი ტაბლეტი 2მგ
ფემარა ტაბლეტი 2.5მგ
ფორქსიგა ტაბლეტი 10მგ
ქსარელტო ტაბლეტი 10მგ
ქსარელტო ტაბლეტი 15მგ
ქსარელტო ტაბლეტი 20მგ
ჯესი ტაბლეტი 0.02მგ+3მგ
ზიმაქსი ტაბლეტი 400მგ

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების ჩამონათვალი „PSP“-ს ქსელში.

აკლასტა ფლაკონი 5მგ/100მლ
არიმიდექსი ტაბ. 1მგ
ბეტასერკი ტაბ. 16მგ
ბეტასერკი ტაბ. 24მგ
ბონვივა ტაბ.150მგ
გალვუს მეტი ტაბ.50/1000მგ
გალვუს მეტი ტაბ.50/850მგ
დეპაკინი ხრონო ტაბ.500მგ
დიოვანი ტაბ.160მგ
დიოვანი ტაბ. 80მგ
ელიქუისი ტაბ. 2.5მგ
ელიქუისი ტაბ. 5მგ
ექსფორჯი ტაბ. 10მგ/160მგ
ექსფორჯი ტაბ. 5მგ/160მგ
იანუვია ტაბ. 100მგ
იანუმეტი ტაბ. 50მგ/1000მგ
იანუმეტი ტაბ. 50მგ/ 850მგ
კო-დიოვანი 160/12.5მგ
კრესტორი ტაბ. 10მგ
კრესტორი ტაბ. 20მგ
პენტასა 500მგ
პლავიქსი შ.ტაბ. 75მგ
სერეტიდი დისკუსი 50/500მკგ
ფემარა ტაბ. 2.5მგ
ფორქსიგა 10მგ
ქსარელტო 15მგ
ქსარელტო 20მგ
ვიქტოზა 6მგ/მლ 3მლ N1 კალამი
ვოლტარენი ემულგელი 1% 50გ

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების ჩამონათვალი „ჯპს“-ის ქსელში.

აკლასტა ხსნარი საინფუზიო 5მგ/100მლ ფლაკონი
ამარილი ტაბლეტი 4მგ
არიმიდექსი ტაბლეტი 1მგ
ბეტასერკი ტაბლეტი 16მგ
ბრილინტა ტაბლეტი 90მგ
გალვუს მეტი ტაბლეტი 50მგ+1000მგ
გალვუს მეტი ტაბლეტი 50მგ+850მგ
გალვუს ტაბლეტი 50მგ
გლუკოფაჟი ტაბლეტი 1000მგ
დიოვანი ტაბლეტი 160მგ
ვოლტარენი ემულგელი გელი 1% 50გრ ტუბი
იანუვია ტაბლეტი 100მგ
იანუმეტი ტაბლეტი 50მგ+1000მგ
კო-დიოვანი ტაბლეტი 160მგ+12.5მგ
კრესტორი ტაბლეტი 10მგ
კრესტორი ტაბლეტი 20მგ
პლავიქსი ტაბლეტი 75მგ
სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო 160მკგ+4.5მკგ/1დოზა 60დოზა ფლაკონი
სირდალუდი ტაბლეტი 2მგ
ფემარა ტაბლეტი 2.5მგ
ფორქსიგა ტაბლეტი 10მგ
ქსარელტო ტაბლეტი 10მგ
ქსარელტო ტაბლეტი 15მგ
ქსარელტო ტაბლეტი 20მგ
ჯესი ტაბლეტი 0.02მგ+3მგ
ზიმაქსი ტაბლეტი 400მგ

ვენახების შესახებ საკადასტრო მონაცემების განახლება მიმდინარეობს

ვენახების შესახებ საკადასტრო მონაცემების განახლება მუდმივად მიმდინარეობს

კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები, ამბროლაურისა და კახეთის რვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში ვენახების საკადასტრო ინფორმაციის განახლების სამუშაოებს რეგულარულად ახორციელებენ.

ვენახების კადასტრის პროგრამა კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში 2021 წელს დასრულდა. ამ ეტაპზე, ვენახთან დაკავშირებული ცვლილებების, როგორებიცაა ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, გაჩუქება, გაშენება ან ამოძირკვა, შესახებ ინფორმაციის განახლება მიმდინარეობს.

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვენახების კადასტრის პროგრამა 2014 წელს დაიწყო. შედეგად, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში შეკრებილია ინფორმაცია 42 966 ჰა ვენახის, 35 336 მევენახის და 113 093 ნაკვეთის შესახებ. მოქმედი რეგულაციით, საკადასტრო ამონაწერის გარეშე, მევენახე ღვინის საწარმოს ყურძენს ვერ ჩააბარებს.

საქართველოს ვენახების ეროვნული კადასტრის შექმნა უზრუნველყოფს რთველის პროცესის გამარტივებას და გამჭვირვალედ ჩატარებას. ვენახების კადასტრი იქმნება თითოეული ვენახის ნაკვეთის იდენტიფიკაციის და რეგისტრაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის (ვენახში არსებულ ვაზის ჯიშებს, დარგვის თარიღს, ვენახის მდგომარეობას და ა.შ.) შეგროვებით.

2022 წელს, ვენახების კადასტრის პროგრამა ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში განხორციელდება და უახლოეს მომავალში საქართველოს მევენახეობის ყველა რეგიონს მოიცავს.

შეცვალე ჟანრი – შექმენი კომიქსი!



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილ კონკურსში თემაზე: „შეცვალე ჟანრი–შექმენი კომიქსი ანუ გრაფიკული წიგნი“, ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატის მე–8კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნულ კონკურსში მოსწავლეებმა შექმნეს კომიქსი „ბაში აჩუკი”.

14 აპრილს ჟიურიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საზეიმოდ დააჯილდოვა გამარჯვებული კონკურსანტები. ჩვენი სკოლის მოსწავლეები მთელი საქართველოს მასშტაბით მოხვდნენ შერჩეული კონკურსანტების სიაში და დაიკავეს „ჟიურის რჩეულის“ მესამე საპრიზო ადგილი. სამინისტროს წარმომადგენლებმა საჩუქრად გადასცეს მთავარი ჯილდო 250 ლარიანი ვაუჩერი წიგნების შესაძენად და კონკურსში მონაწილეობის სერთიფიკატები. აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონიდან მხოლოდ ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატი იყო გამარჯვებულთა სიაში.

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექციამ ფასიანი საჩუქრები გადასცა ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს და პედაგოგს. სკოლის დირექცია მადლობას უხდის სკოლის სახელით მე-8 კლასის მოსწავლეებს და ლინა მასწავლებელს.

14 აპრილი დედოფლისწყაროში

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის IXა კლასში (რუსული სექტორი) ქართული ენის პედაგოგმა ლალი მენთეშაშვილმა 14 აპრილს - დედაენის დღეს მიუძღვნა ქართული ენის გაკვეთილი. მან გაიხსენა 1978 წლის 14 აპრილი, როგორც ეროვნული გამოღვიძების დღე ქართველი ერის ისტორიაში. ამ დღეს სტუდენტობის მასობრივი გამოსვლის შემდეგ ქართული ენა, როგორც უდიდესი ისტორიის, უდიდესი ტრადიციების მაღალგანვითარებული ენა დარჩა სახელმწიფო ენად.

***

14 აპრილს, დედაენის დღესთან დაკავშირებით, სამრეკლოს საჯარო სკოლაში რამოდენიმე ღონისძიება გაიმართა. მეორე კლასის მოსწავლეებმა, სამრეკლოს სკოლის პატარა მარგალიტებმა, უჩვეულო სანახაობა მოაწყეს. დამსწრე საზოგადოებამ „ანბანის“ ზეიმი იხილა. სკოლამ მადლობა გადაუხადა მასწავლებელ ქალბატონ ნინო ხუციშვილს. „მადლობა იმ სიყვარულისთვის, იმ სითბოსთვის, იმ ენერგიისთვის, რომელსაც არ ზოგავს ის პატარებისთვის. მადლობა იმისთვის, რომ თითოეული მოსწავლისთვის ყოველი დღე იწყება ხალისიანად. ბავშვებს ყოველთვის მიუხარიათ ნინო მასწავლებელთან. აი ეს არის ბედნიერება“.

„მრავალჯერვარამგადანახადი, უნატიფესი ენა ქართული,
ყველაზე კარგად, რომლის ლაზათი შოთას ლექსშია გამოხატული.”

სიყვარულის კვირეული და „ანონიმური წერილების ყუთები“

დედოფლისწყაროს ახალგაზრდობის ცენტრმა „იბერია“, სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, სიყვარულის კვირეული 11 აპრილიდან დაიწყო.

11 აპრილიდან სკოლებში განთავსდა „ანონიმური წერილების ყუთები“, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, ანონიმურად გაეგზავნათ წერილები მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ნებისმიერ სკოლაში მათთვის სასურველი ადრესატისთვის. 13 აპრილს, კვირეულის ფარგლებში, მოეწყო ფილმის - „ჩემი სიძულვილის 10 მიზეზი” ჩვენება. ეს ფილმი ახალგაზრდებმა თავად შეარჩიეს. აქტივობა გაგრძელდა 4 დღე. 15 აპრილს კი წერილები გადაეცათ ადრესატებს.

საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა...

დაიწყო თუ არა სამარი მოქმედებები რუსეთმა უკრაინაში, მე და ჩემმა შვილებმა მაშინვე გავიხსენეთ ჩვენი ოდესელი ნაცნობები და ვეცადეთ დაკონტაქტება. ჩვენი ნაცნობობა კი ერთი უბრალო და ჩვეულებრივი ამბით დაიწყო.



1986 წლის შემოდგომა იდგა. მაშინ თსუს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეხუთეკურსელი გახლდით და ათდღიანი სასესიო გამოძახებიდან ვბრუნდებოდი თბილისი-წითელწყაროს ავტობუსით. ბოლო რეისი იყო და გზაში ბინდმა მოგვისწრო. ის-ის იყო ბოდბე-მაღაროს გამოვცდით, რომ ავტობუსში ჩოჩქოლი შეიქმნა. გაირკვა, რომ ორი ახალგაზრდა, მშვენიერი ქალბატონი ოდესიდან მივლინებით მიდიოდნენ სიღნაღის რაიონის ხეტყის ბაზაში, რომელიც სოფელ მაღაროს მისადგომებთან, ფაქტობრივად, მინდორში მდებარეობდა. გოგონები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, რა გვეშველება, დაღამდა, არც გზაკვალი ვიცით და არც არავინ ნაცნობი გვყავს, რომ დავეკონტაქტოთო. დავაწყნარე და ვუთხარი, რომ წამოსულიყვნენ წითელწყაროში, სასტუმროში დაბინავებულიყვნენ და მეორე დღეს წასულიყვნენ ბაზაზე. როგორც იქნა, დამშვიდდნენ. სტუმრები მივიყვანე მაშინდელ სატუმრო „შირაქში“ და აღმოჩნდა, რომ არც ერთი ადგილი არ იყო თავისუფალი. რას ვიზამდი, სახლში წამოვიყვანე. რაც კი შემეძლო, ქართული სტუმარ-მასპინძლობის ლაზათი მაქსიმალურად შევაგრძნობინე. მშვენიერი დასამახსოვრებელი საღამო გამოვიდა. იმ შიშის შემდეგ, რაც მათ ავტობუსში გადაიტანეს, მადლიერებას ვერ ფარავდნენ გულთბილი დახვედრის, უშუალობის და გულწრფელობისთვის. მეორე დღეს, ადრიანად ხორნაბუჯიც ვაჩვენეთ, ქალაქის გასასვლელთან ელიის მთის მნოლიარე ქალიც დავანახეთ, გემრიელად ვასაუზმეთ და ჩემმა მეუღლემ ჩვენი მანქანით მაღაროში, იმ ხეტყის ბაზაზე წაიყვანა, სადაც ისინი ოდესაში გაგზავნილი ხის მასალის ხარვეზების შესასწავლად იყვნენ ჩამოსული. მერე იყო მიწერ-მოწერა, გულწრფელი მიპატიჟება, მისალოცი ბარათების გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი საპასუხო ვიზიტი არ შედგა, ვერ მოვახერხეთ. კარგა ხანს ვკონტაქტობდით, მერე თანდათან ბევრი რამ შეიცვალა...ჩვენ თავისუფალი ქვეყანა გავხდით, მერე უკრაინაც გამოეყო დიდ საბჭოთა „ძმურ“ ოჯახს. ცხოვრების ქარტეხილებმა დროს გაატანა ეს ურთიერთობა და ერთ სასიამოვნო, ლამაზ მოგონებად აქცია. ახლა კი, როდესაც უკრაინაში გაუგონარი ვანდალიზმი ტრიალებს, როდესაც რუსეთი არ ინდობს ერთი ფუძიდან წამოსულ ხალხს, ისევ გაგვიახლდა ის დღეები, ალბათ, ისეთივე შეშინებულები და სასოწარკვეთილები არიან ის ჩვენი ნაცნობი გალია და ნადია, როგორც მაშინ, მაღაროს ხე-ტყის ბაზის ძებნისას, იქნებ ისევ სჭირდებათ ჩვენი თანადგომა და დახმარებაო, ვიფიქრეთ და დავიწყე ძველი მიმოწერის ძებნა. მისამართები კი ვიპოვნეთ, მაგრამ ხალხს, ჯერჯერობით, მცდელობის მიუხედავად, ვერ მივაგენით, ხმა ვერ მივაწვდინეთ და ვერ შევეხიდეთ...

მათი მიმოწერის ძებნისას ერთ მოსაწვევ ბარათს წავაწყდი. ის 1977 წლის 23 თებერვლით თარიღდება და სოფელ წითელწყაროს კულტურის სახლში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის დაარსების დღის აღსანიშნავ საზეიმო საღამოზე გვიწვევს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის და კლუბის ხელმძღვანელობის სახელით. ორყდიან მოსაწვევს პირველ გვერდზე შესანიშნავი ვარდების თაიგული ამშვენებს, მეორე გვერდზე ასეთი ტექსტი აქვს წამძღვარებული: „და აი, მე შენი შვილი, ამაყი და ბედნიერი, მადლობელი ვარ შენი, რომ თუნდ მცირედ, მაგრამ, მაინც მაქვს შეხება შენს საქმეებთან და ვარ შენი ბედის ნაწილი“. ეს ყველაფერი კი შავით თეთრზე რუსულ ენაზეა დაბეჭდილი... ამის წამკითხველს გული მწარედ ამომიდუღდა, ჩემს მეხსიერებაში გაცოცხლდა წარსული - ქართული მოსახლეობის უპირატესობის მიუხედავად, ეროვნული უმცირესობის „მიზეზით“ სახელმწიფო-სამეურნეო საქმის წარმოება ოფიციალურად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა რაიონის რამდენიმე სოფელში: წითელწყაროში (დღევანდელი ხორნაბუჯი), ლენინოვკაში (ჭოეთი) და საბათლოში. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობას ვერ გრძნობდნენ იქაური მოქალაქეები, ბევრი ისე დაიბადა, გაიზარდა, დაბერდა და წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ქართულად არასოდეს უსაუბრია. ზოგს ენის უცოდინრობის გამო, ზოგს კი პრინციპულად. სამწუხარო ის არის, რომ ამის მომკითხავი არავინ იყო. პირიქით, რუსული ენის მცოდნეთ საკმაოდ დიდი უპირატესობა ჰქონდათ კარიერულ წინსვლაში, ამიტომაც იყო, რომ წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში ბავშვთა ყველაზე მაღალი კონტიგენტი იყო რაიონის მასშტაბით და მათში ქართველი მაღალჩინოსნობის შვილებს საკმაოდ დიდი ადგილი ეკავათ. ახლაც მწარედ მახსოვს უხერხულობის და შელახული თავმოყვარეობის განცდა, რასაც სოფლიდან ქალაქში ჩასული ახალგაზრდობა განვიცდიდით რუსული ენის მცირემცოდნეობის გამო. ოჯახებში საურთიერთო ენაც კი საზოგადოების მაღალ ეშელონებსა და პრესტიჟულ ფენებში რუსული ენა იყო. ასე „რბილად“ მკვიდრდებოდა ჩვენში არამარტო რუსული ენა, არამედ რუსული ხასიათი და ზნე. ქართული ენა გაივსო რუსული „კალკებით“. აქა-იქ თუ გაისმოდა პატრიოტ ქართველთა პროტესტი ენის სიწმინდის დაცვის თაობაზე. თუმცა, ჩვენდა საამაყოდ, უნდა ვთქვათ, რომ დაემუქრა თუ არა ქართულ ენას არასახელმწიფოებრიობის საშიშროება, ერთ მუშტად შეიკრა ქართველი ერი, წინ აღუდგა „უფროსი ძმის“ ნებას და...1978 წელს ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა.

მწარედ მახსენდება, აგრეთვე სამოცდაათიან წლებში ჩემი სამწლიანი „მოღვაწეობა“ მარნეულის რაიონის სოფელ არაფლოს აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში, სადაც ქართული ენის მასწავლებლად ვიყავი მივლენილი. ქართული ენის სწავლება მეხუთე კლასიდან იწყებოდა და ისეთი პროგრამა იყო, იმითი ენის სწავლა შეუძლებელი გახლდათ, თავად საგანი და მისი მასწავლებელი-მეასეხარისხოვანი. სოფელი და სკოლა აზერბაიჯანული იყო და სწავლებაც ამ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ საქმის წარმოება რუსული იყო. ამიტომ, მასწავლებელმაც და მოსწავლეებმაც რუსული უკეთ იცოდნენ, ვიდრე-ქართული. ბავშვებს უნერგავდნენ, რომ ისინი ქართულ მიწაზე კი არა „თავის მიწაზე“ სახლობდნენ. იმის საფრთხეს, რომ ასეთი მიდგომა არასასურველ შედეგებს მოიტანდა, მაშინვე მივხდი და ახალი პროგრამის შემუშავების და ქართული ენის შესწავლის პირველი კლასიდანვე დაწყების შესახებ განათლების რაიონულ განყოფილებასა თუ სამინისტროს არაერთხელ მივწერე ვრცელი წერილი, მაგრამ დარჩა ის ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. გვახსოვდეს, ერთ ენაზე მეტყველება არის ის უდიდესი საშუალება, რამაც ქვეყანა უნდა გააერთიანოს. საჭიროა, მეტი ძალისხმევა, რათა ქართული ენა საქართველოს ყველა მოქალაქემ იცოდეს. ჩვენ კი ვხედავთ რომ არაქართულ სოფლებში ელემენტარული კომენტარის გაკეთებაც კი არ შეუძლიათ ადამიანებს, ისინი მხოლოდ ეროვნულ ენას ფლობენ და არ იციან სახელმწიფო ენა.



УВАЖАЕМЫЙ ТОВАРИЩ!

23 февраля 1977 года в 7 часов вечера в доме культуры с.Цители-Цкаро состоится вечер посвященный дню Советской Армии и Военно -Морского флота и установления Советской власти в Грузии.

ПРОСИМ ПРИСУТСТВОВАТЬ.

Комсомольская организация

и Совет Клуба.

И Я ТВОЙ СЫН, И ГОРД
И СЧАСТЛИВ
И БЛАГОДАРЕН Я ТЕБЕ,
ЧТО ХОТЬ НЕМНОГО, НО
ПРИЧАСТЕН
К ТВОИМ ДЕЛАМ, К ТВОЕЙ
СУДЬБЕ.

დღეს 14 აპრილია, დედა ენის, ანუ ქართული ენის დღე. დრომ მოიტანა და პრობლემა იგივე გვაქვს, მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ახლა „უპირველესი“ ინგლისური ენაა. ჯერ რუსული ენით დაბინძურებულ ჩვენს ენას ახლა ინგლისურსაც ვუმატებთ. ზოგჯერ ერთ ხუთსიტყვიან წინადადებაში სამი სიტყვა უცხოენოვანია, მაშინ, როდესაც ამ სიტყვებს მშვენიერი ქართული შესატყვისი სიტყვები აქვს. მე არ მაქვს პრეტენზია ისეთ სიტყვებზე, რომელიც ტექნოლოგიურმა და სამეცნიერო მიღწევებმა მოიტანა და დაამკვიდრა საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ როდესაც ყოველ მაღაზიას თუ მომსახურების სხვა ობიექტს ინგლისურ ენაზე აქვს წარწერა და შესასვლელშიც ჰკიდია მინიშნება „ოპენ“, არ შეიძლება დავაწეროთ „ღიაა?!“ როცა დაკეტილია, მაშინ არაფერი აწერია, მაშასადამე დაკეტილია. რას ვამბობთ ამ „ოპენით“, ქართული აღარ „გვეკერკებაო“?! ეს ძალიან უბრალო და მარტივი მაგალითი მოვიყვანე, თორემ ტელევიზორსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებში ხომ უცხო ენის უცოდინართათვის ნახევარი გაუგებარია, რას ლაპარაკობენ. დავფიქრდეთ, ამას ვინმე გვაძალებს თუ ჩვენი მეტიჩრობაა. ვილაცა შემომიყიჟინებს, ეს გლობალიზაციაა... არა, ძვირფასებო, ყველაფერს აქვს გამოსავალი, თუ ეროვნულ ინტერესებს პირველ ადგილზე დავაყენებთ. არ ვამბობ, არაფერი შეიცვალოს-მეთქი, ენაც ცოცხალი ორგანიზმია, ვითარდება, მაგრამ ამ განვითარებაში მინიმუმის და მაქსიმუმის გარჩევა უნდა ვისწავლოთ. მე ჩემი გულისტკივილი ვთქვი და ამდენი მიეთ-მოეთი იმიტომ დამჭირდა, რომ წერილის სათაურში დაწყებული ფრაზა მაღალ ხმაზე დავამთავრო და ჩემი მთავარი სათქმელი ვთქვა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს ქართული ენა და ვალდებულია, დაიცვას მისი სიწმინდე და ეროვნული ხასიათი!

დედა ენის დღეს გილოცავთ, ღირსეულად ატარეთ თქვენი ეროვნულობა.

ნაირა გორაშვილი

ბიზნესი ქართულად - ანუ პატრიოტული ბიზნესის არსი

გვანცა სულ ახლახანს დაოჯახდა. მეუღლესთან ერთად გარკვეული პერიოდი ქირით უწევს ცხოვრება. ამიტომ საშუალო ფასად, 500 ლარად იშოვნა თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ბინა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ქირას დროულად იხდიდა და მეპატრონეც კმაყოფილი იყო მისი კეთილსინდისიერებით. მაგრამ...ყველაფერი ორმა მარტივმა სიტყვამ შეცვალა: რუსეთის მოქალაქეები. მეპატრონეს სულ მცირე დროში ცვლილება დაეტყო. მიზეზის ძებნაც რომ არ დაუწყია ისე, გვანცას ბინის დაცლა მოსთხოვა. გაკვირვებისა და უკმაყოფილების შემდეგ, როდესაც პასუხს არაფრით უბრუნებდა კითხვაზე, თუ რატომ სთხოვდა მეპატრონე ბინის დაცლას, ბოლოს ასეთი რამ გაიგო: თუ გადამიხდით ორჯერ მეტს მაშინ დაგტოვებთ, თუ არადა აგერ, რუსებს შევუშვებ და ისინი უპრობლემოდ გადამიხდიანო. გვანცა მეუღლესთან ერთად იძულებული გახდა ბინა დაეტოვებინა.

ყველაფერი კი დაიწყო ასე...

მას შემდეგ, რაც ვლადიმირ პუტინის ხელისუფლებამ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო, რუსეთი უამრავმა მოქალაქემ დატოვა. აღნიშნულ მიზეზებს შორის, ერთი მხრივ, რუსეთის შიგნით განსხვავებული აზრის გაძლიერებული დევნა და შესაძლო საომარი მდგომარეობისადმი შიში, მეორე მხრივ კი დასავლური სანქციების მძიმე ეკონომიკურ შედეგებზე თავის არიდება სახელდება. ქვეყნის დატოვების მსურველი არაერთი ადამიანი ბოლო ან დროებით გაჩერებად რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს ირჩევს: რიგ შემთხვევებში, უძრავ ქონებაზე მოთხოვნა გაზრდილია, ისევე როგორც იმ რეისების ბილეთის ფასი, რომელთა მეშვეობითაც რუსებს საქართველოში მოხვედრა სურთ.

როცა რუსეთში მრავალმხრივ შეიცვალა ვითარება უარესობისკენ – ერთი მხრივ, უწინდელზე მეტად გაიზარდა პოლიტიკური დევნის მასშტაბები, მეორე მხრივ კი დასავლეთის სანქციები უკვე მოქმედებს ადგილობრივთა ყოველდღიურობაზე – რთული სათქმელია, ვინ რა მიზეზითა და გეგმებით მოდის საქართველოში. რუსეთიდან შემოსული ვიზიტორები, რომელთა წილიც უსწრებს ბელარუსიდან და უკრაინიდან შემოსულ ადამიანებს, ძირითადად, უძრავი ქონების შეძენით არიან დაინტერესებულნი, და არა ქირაობით. მაგრამ, თვალნათელია, რომ საქართველოში რუსების შემოდინებისა და საყოველთაო განხილვების ფონზე, ბინების გაქირავებაზე ფასები, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში, მომატებულია. „ნეტგაზეთთან“ თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე მომუშავე სააგენტოების წარმომადგენლების განმარტებით, არსებული ბაზარი იმდენად მკვეთრად არის შეცვლილი ბოლო ორკვირიან მონაკვეთში, რომ ასეთი ვითარება არასოდეს ყოფილა. არსებული მდგომარეობა კი ძალიან არაპროგნოზირებად ფასებს ქმნის. გთავაზობთ, „ნეტგაზეთთან“ მიცემული ინტერვიუებიდან რამდენიმე ფრაზას, რაც, 10 მარტის მდგომარეობით ბაზარზე არსებულ ვითარებას ასახავს:

•„ვაკეში 2-ოთახიანი, ახალი გარემონტებული ბინა 500 დოლარად შეიძლება ვერც იშოვოთ — ზოგჯერ 1000-იც შეიძლება მოგთხოვონ“;

•„ისევ ვაკეში 3-ოთახიანი კარგი ბინა შეიძლება 1500 დოლარად ვეღარც ნახოთ“;

•„გამქირავებლებს შორის არის განსხვავებები“

•ისინი, ვინც ეს „ახალი ფასები“ არ იცის, ან არ ჰყვება ამ ისტერიას, ფასს არ უმატებს და ძველ ფასში აქირავებს, მაგრამ ასეთების რაოდენობა ცოტაა;

•ვისთვისაც ფინანსები უფრო მნიშვნელოვანია, შეიძლება 2-ოთახიანი ბინა 800 დოლარად გაქირავოს. ზოგჯერ მეტადაც;

•საინტერესო ის არის, რომ ამ ფასად ეს ბინა მაინც ქირავდება. კლიენტასაც ულირს, რომ გადაიხადოს.

•„ახლა გვქონდა შემთხვევა, 3-ოთახიან ბინას აქირავებდნენ 2500 დოლარად, როდესაც რამდენიმე თვის წინ შეიძლება 5-ოთახიანი ბინა ვერ გაქირავებულიყო 1000$-ზე მეტად “...

ბოლო პერიოდში ყოველი ათი კლიენტიდან ერთი არის ქართველი, ერთი ბელორუსი, რვა კი - რუსი. ბაზრიდან თითქმის გამქრალია ქირაობის მსურველი სტუდენტები. მაკლერების უმეტესობა ამბობს, რომ 500-600 ლარიანი ბინები ფაქტობრივად აღარ არსებობს. მათ შორის არც არაცენტრალურ უბნებში. მაკლერების, — და ზემოთ აღნიშნული რიცხვების, — აღწერილი ვითარება ჯიუტ სურათს ხატავს, რისი მიზეზიც, როგორც ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, დავით კეშელავა ამბობს, სწორედ ახალი ვიზიტორების საკითხი უნდა იყოს: **„ის, რომ ბაზარზე, ერთი შეხედვით, არალოგიკურად სწრაფი ზრდა გვაქვს ქირის ფასებზე, დიდი ალბათობით, რაიმე მაკროეკონომიკური ფონით არ იქნება გამოწვეული. ზრდა უფრო ნელი და ეტაპობრივი იქნებოდა, უბრალოდ მაკროფაქტორები რომ განაპირობებდეს, — ფასების ზრდის მოლოდინები და ა.შ. ალბათ, აქ უფრო საქმე გვაქვს იმასთან, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ბოლო პერიოდში რუსეთიდან და ბელარუსიდან ადამიანთა ნაკადების მოძრაობა“,** — ეუბნება ეკონომისტი „ნეტგაზეთს“. იგი ორ მიზეზს ასახელებს:

„-ერთი მხრივ, ეს ადამიანები ქმნიან დამატებით მოთხოვნას ბინებზე, — ქირაობენ ბინებს გარკვეული ვადით და, ალბათ, ეს გაზრდილი მოთხოვნა არის პირველი მიზეზი, რატომაც ფასები იზრდება;

-მეორე მხრივ, გარდა რეალურად გაზრდილი მოთხოვნისა, აჟიოტაჟიც საკმაოდ დიდია ამ მიმართულებით, რაც დამატებით მოლოდინებს, შეგრძნებებს აჩენს საზოგადოებაში, რომ მოთხოვნა გაზრდილია [რაც ფასის მომატების წინაპირობა ხდება]“.

ეკონომისტის თანახმად, ამ ეტაპზე რთული სათქმელია, ეს ფასები და ტრენდი რამდენ ხანს შენარჩუნდება, რადგან „ეს გეოპოლიტიკურ პროცესებთან არის დაკავშირებული, — რამდენ ხანს გაგრძელდება ომი, როგორი იქნება უკრაინის, რუსეთისა და ბელარუსის შიდა პოლიტიკა მიგრაციის ნაკადების კონტროლთან დაკავშირებით და ა.შ.“

არავინ იცის კიდევ რამდენი ადამიანია გვანცას ოჯახის მსგავსად. არავინ იცის, ქართული ბიზნესისა და „სტუმართმოყვარეობის“ ფონზე რამდენი ქართველი რჩება ბინისა და თავზე ჭერის გარეშე. ყველაფერი კი მაინც გვერდში დგომასთან და მხარდამხარ ბრძოლაში ჩვენს ერთიანობასთან მიდის, რომელიც დღითიდღე უფრო სუსტდება და წელში იხრება. სამაგიეროდ, კი იძერწება ქართული ბიზნესისა ანდაც „პატრიოტული“ ბიზნესის არსი.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ომი ქაოსია, ომი ჯოჯოხეთია...

ომი — სოციალურ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, აგრეთვე ეროვნული, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის საშუალებებით გადაწყვეტის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს. ომს შედეგად მოსდევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს — სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი — მდგომარეობის თვისებრივი ცვლილება. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ომი და მშვიდობა ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად რჩებოდა, რადგანაც ადამიანებმა გამოსცადეს ომის გამანადგურებელი ეფექტები მსოფლიო თუ რეგიონული კონფლიქტების სახით, დღეს თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ ომი არ არის კონფლიქტის გადაწყვეტის ეთიკურად გამართლებული საშუალება. მიუხედავად ამისა, დღეს 21-ე საუკუნეში, ჩვენ ვართ მომსწრე საშინელი ომის, რომელსაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი ეწირება.

ომი უკრაინის წინააღმდეგ რუსეთმა **„სპეციალური სამხედრო ოპერაციით“ 24 თებერვალს გამთენიისას დაიწყო და, როგორც ვლადიმირ პუტინმა თქვა, ის მიზნად ისახავს - „დემილიტარიზაციასა და დენაციფიკაციას“. კიევის დაკავებისა და უკრაინის „დენაციფიკაციისა“ და „დემილიტარიზაციის“ წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გადაწყვიტა, რომ მათი ახალი მიზანი დონბასის „სრული განთავისუფლებაა“.** დონბასში პუტინი, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ უკრაინაში მდებარე დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებს გულისხმობს, სადაც რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა სეპარატისტებმა მნიშვნელოვანი ტერიტორია 2014 წლის კონფლიქტის შემდეგ დაიკავეს. დასავლელი ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ისინი დონბასში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაორმაგებას ან გასამმაგებას ელოდებიან. როდესაც პუტინი საუბრობს დონბასზე, ის გულისხმობს უკრაინის ნახშირისა და ფოლადის მწარმოებელ ძველ ზონას, რომელიც ბუნებრივი რესურსებით მდიდარია.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მისი ძალები უკრაინაში მამაცურად, ეფექტურად მოქმედებენ და იყენებენ ყველაზე თანამედროვე იარაღს. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ტასი“ ავრცელებს. სააგენტო „ინტერფაქსის” ცნობით კი, კრემლის ლიდერმა აღნიშნა, რომ რუსეთს „სხვა გზა არ ჰქონდა”, გარდა იმისა, რომ დაეწყო სამხედრო ოპერაცია უკრაინაში რუსეთის დასაცავად. რუსეთის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მისი ძალები მიზანს მიაღწევენ. **„ეს ასე იქნება. ამაში ეჭვი არ მეპარება. მიზნები აბსოლუტურად ნათელია, ისინი კეთილშობილურია. მთავარი მიზანია დონბასში ხალხის დახმარება“** - განაცხადა პუტინმა.

რუსი პოლიტოლოგის, ლეონიდ რაძიხოვსკის თქმით, **„უკრაინის ირგვლივ აგორებული ხმაურის გარშემო, რუსებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ კრემლმა დასავლეთის წინაშე წააგო”. ამის შესახებ მან ჩაქქინ-თან საუბარში თქვა. “რუსების თვალში რუსეთმა ზეწოლას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. ეს ისეთივეა, როგორც შეჯიბრში, როცა ადამიანები ერთმანეთს თვალებში უყურებენ და ვინც პირველი ახამხამებს, წააგებს. კრემლისთვის, ეროვნული პრესტიჟის გაზვიადებული წარმოდგენებით, ეს სიტუაცია აბსოლუტურად მიუღებელია. ამიტომ, აუცილებელია რაიმე სანახაობრივი ჟესტის გაკეთება, რომ წაშალონ რუსების მასობრივი ცნობიერებიდან დანაკარგის სამწუხარო შეგრძნება,“** — თქმა მან. მისი თქმით, რუსეთის ჯარების მიერ უკრაინის სავარაუდო დაკავების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სხვა არაფერი იყო, თუ არა — პიარი. რაც შეეხება ლუგანსკის და დონეცკის ე.წ. რესპუბლიკების აღიარების საკითხს, რაძიხოვსკი ამბობს, რომ კრემლისთვის აუცილებელია რაიმე სანახაობრივი პოლიტიკური ჟესტი, რომ როგორმე გაამართლოს ჯარების გაყვანა უკრაინის საზღვრიდან. რაძიხოვსკის თქმით, მოსკოვს, ამ მხრივ, მცირე არჩევანი აქვს, “იმის გამო, რომ უკრაინაში დაუყოვნებლივ შეჭრის საფრთხემ



შედეგი არ გამოიღო, გარკვეული ხმაურიანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება რჩება“. „ასე გაჩნდა იდეა, რომ მოხდეს დონეცკის და ლუგანსკის საკანონმდებლო დონეზე აღიარება და ეს გადაწყვეტილება გამოიყენონ მორიგ პიარ კამპანიად და იმის მცდელობად გაასაღონ, რომ დასავლეთთან დაპირისპირებისას რუსეთი უკან არ იხევს, პირიქით. მაგრამ ამ შემთხვევაში კრემლი რისკავს, დაკარგოს პოლიტიკური ზეწოლის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ბერკეტები, მის შეუპოვარ სამხრეთელ მეზობლებზე. აქამდე მოსკოვი, როგორც ცნობილია, უკრაინას (და არა უსაფუძვლოდ) ადანაშაულებდა მინსკის შეთანხმებების შეუსრულებლობაში. დონეცკის და ლუგანსკის აღიარებით კი, რომლებიც, ამ შეთანხმების მიხედვით, უკრაინის ნაწილია, კრემლი რეალურად თამაშობს პრეზიდენტ ზელენსკის თამაშს, რითაც ართმევს მინსკის შეთანხმებებს იურიდიულ ძალას. ამიტომ, მოსკოვი დღეს ურთულესი დილემის წინაშე დგას: ერთი მხრივ, მას ჰაერივით სჭირდება სანახაობრივი ჟესტი, როგორც რუსეთის მორიგი დიპლომატიური გამარჯვების დადასტურება და, მეორე მხრივ,

> *„დაპყრობითი ომის მამოძრავებელი ძალა სიძულვილი. ბოროტება და მომხვეჭელური სულია. ადამიანში ამ მდაბალი თვისებების აღძვრა-გაღვივება, პიროვნების ჭეშმარიტი დანიშნულების რღვევა იმპერიის ბუნებიდან გამომდინარეობს, მისი პირდაპირი მიზანია, მისი არსებობის გარდაუვალი, აუცილებელი შედეგია“*
>
> *ჭაბუა ამირეჯიბი.*

მეამბოხე დონეცკის და ლუგანსკის საკანონმდებლო აღიარება, ნიშნავს მინსკის შეთანხმებების პოლიტიკურ სიკვდილს. შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ დონეცკის და ლუგანსკის აღიარება არ მოხდება. რუსეთის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია უკრაინის მუდმივი საყვედურებისა და ბრალდებების ობიექტური მიზეზის შენარჩუნება. რაც შეეხება საინფორმაციო ომში წაგებას, სოლოვიოვებისა და მათი გუნდების დუეტი, ორ სახელმწიფო ტელეარხზე, საჭირო და დამაჯერებელ სიტყვებს იპოვის, რომ რუსებს დამარცხება ბრწყინვალე გამარჯვებად წარუდგინოს“, — ამბობს ლეონიდ რაძიხოვსკი.

როგორც აღმოჩნდა რუსეთშიც არაერთგვარი დამოკიდებულებაა რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ. „უკრაინა ეს უბრალო სიტყვები ხომ არაა ხალხნო ჩვენთვის. სწორედ უკრაინამ შობა რუსი ერი, გამოგვზარდა , ხალხში გაგვიყვანა, მოგვცა ჩვენ დამწერლობა, ჭეშმარიტი რწმენა და დიდი კულტურა. მაგიტომაც ჰქვია უკვე 1000 წელზეა მეტია კიევს, „დედა ყველა რუსული ქალაქისა და რუსული ცივილიზაციისა “ ჩვენ სწორედ დნეპრის ნაპირებზე გავიზარდეთ, გავმდირდით, გავძლიერდით და მერე გადავიჭიმეთ ოკეანიდან ოკეანამდე. ახლა კი რას ვშვებით მთელი სიველურით და ბარბაროსობით დავესიეთ უკრაინას და ვაუპატიურებთ მშობელ დედას, რომელმაც ყველაფერი მოგვცა და ვცდილობთ ის მიწასთან გავასწოროთ და გავანადგუროთ და ამას ვაკეთებთ რაღაცა საოცარი აღტკინებით და მონდომებით. თქვენ რუსო მამაკაცებო, გული არ გერევათ ამ საშინელებისგან და მარაზმისგან! როდემდე უნდა მიჰყვეთ ტირანს, რომელიც ცდილობს ჩვენში ადამიანობა, ჩვენი ფესვები, ჩვენი სული და გული გაანადგუროს!“-წერს რუსი რეჟისორი არკადი ტიგაი.

უკრაინის სამხედრო უწყება კი 12 აპრილს, მარიუპოლში რუსეთის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ აცხადებს. წინასწარი მონაცემებით, რუსმა ოკუპანტებმა სავარაუდოდ, ფოსფორის შემცველი საბრძოლო მასალა გამოიყენეს. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, განა მალიარი აცხადებს. მისი თქმით, ამის შესახებ თავდაცვის სამინისტრო საქმის გამოძიების პროცესშია. **„ამ დროისთვის, ჩვენ გავრცელებულ ინფორმაციას ვამოწმებთ, ვცდილობთ გავიგოთ, თუ რა იყო ეს. წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოა, რომ ეს იყო ფოსფორის შემცველი საბრძოლო მასალა. საბოლოო ინფორმაციას ოფიციალური პირი მოგვიანებით გაცნობებთ“,** - დასძინა უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ. ამავდროულად, მალიარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების რისკი ნამდვილად არსებობს და ამის ალბათობაც საკმაოდ მაღალია.

პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ მარიუპოლის დამცველები 10-ათასიან საოკუპაციო ჯარს უწევენ წინააღმდეგობას და თუ ქალაქის შენარჩუნება მოხერხდება, დამპყრობელი აღმოსავლეთ უკრაინისკენ გაჭრას ვერ შეძლებს. უკრაინის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში, კერძოდ, მარიუპოლში მიმდინარე ბრძოლები, ომის მთელ მსვლელობას განსაზღვრავს და თუ უკრაინის შეიარაღებული ძალები იქ დამარცხდებიან, რუსეთმა, ზელენსკის აზრით, შესაძლოა მოლაპარაკების პროცესი მიატოვოს და კვლავ დეოკუპირებული ტერიტორიების ოკუპაციას მიჰყოს ხელი.

მომდევნო ორი-სამი კვირის განმავლობაში აღმოსავლეთ უკრაინაში ბრძოლები გაძლიერდება, რადგან რუსეთი აგრძელებს ძალების გადახედვას ომში. ამის შესახებ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო Twitter-ზე წერს. „რუსული თავდასხმები კვლავ ფოკუსირებულია უკრაინის პოზიციებზე დონეცკისა და ლუგანსკის მახლობლად, ბრძოლები გრძელდება ხერსონისა და ნიკოლაევის რაიონებში, ხოლო წინსვლა კრამატორსკისკენ გაგრძელდა“, - ნათქვამია განცხადებაში. ამავე დროს, აღნიშნულია, რომ რუსული ჯარები აგრძელებენ ბელორუსიიდან გაყვანას, რათა გადანაწილდნენ აღმოსავლეთ უკრაინაში ოპერაციების მხარდასაჭერად.

ცხოვრებისეულ ქარტეხილებსშორის, ყველაზე ჩახლართული და უაზრო ომი გახლავთ, ადამიანურ მოდგმათა შორის დაპირისპირება, რადგან იგი მოიცავს ყველასა და ყველაფერს, მას არ აქვს საზღვრები და აკრძალვ. „ტოტალური ბრძოლა წესების გარეშე“ რომელშიც გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ადამიანია. უფრო ნათლად, რომ ვთქვათ: „ომი არის სრული უაზრობა“. ომი ძალადობაა, რომელსაც აუარეგელი რთულად ანაზღაურებადი ან საერთოდ აუნაზღაურებადი დამანგრეველი შედეგები მოაქვს. მისთვის რაიმე ეთიკური წესების მორგება არ აქცევს მას მორალურად გამართლებულ ქმედებად, რადგან იგი საფუძველშივე ეწინააღმდეგება უნივერსალურად აღიარებულ ადამიანურ ღირსებას, უფლებასა და თავისუფლებას.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

„ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსით“ დაინტერესებული პირებისთვის

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO) თანამშრომლობით, რამდენიმე წელია, სთავაზობს სფეროთი დაინტერესებულ პირებს, ქართულ ენაზე შემუშავებულ „ინტელექტუალური საკუთრების ზოგად კურსს“ (DL101GE). აღნიშნული კურსი მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების დარგში განათლების ცენტრის, WIPO-ს აკადემიის პირველი დისტანციური კურსია, რომელიც საქპატენტის მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა და უსასყიდლოდ ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის. საქპატენტის სასწავლო ცენტის მიერ ორგანიზებული DL101GE-ს გაზაფხულის სესიაზე, რეგისტრაცია გახსნილია და მათ ვისაც აინტერესებს ინტელექტუალური საკუთრება 27 აპრილამდე შეუძლიათ რეგისტრაციის გავლა. რა სარგებელი მოაქვს ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლების ცოდნას ნებისმიერი ადამიანისთვის, რა უპირატესობები აქვს და კონკრეტულად, როგორია DL101GE-ს სასწავლო პროცესი, დეტალებზე „ინტერპრესნიუსი“ საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსს, დეა ჭიჭინაძეს ესაუბრა.

- უპირველესად, რომ გვითხრათ, რატომ უნდა გავიაროთ ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი (DL101GE)?

- ნებისმიერ ჩვენგანს ყოველდღიურად შეხება აქვს ინტელექტუალურ საკუთრებასთან, ქმნის და იყენებს მას, ამიტომაც თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონდეს ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. აუცილებელია ვიცოდეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმები, რომ დავიცვათ საკუთარი და არ დავარღვიოთ სხვისი ინტელექტუალური საკუთრება. ინტელექტუალური საკუთრების თუნდაც ზოგადი ცოდნა სამენარმეო საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისათვის აუცილებელია საბაზისო განათლება. საკუთრების სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები გამომგონებელს, საავტორო უფლების მფლობელს, სასაქონლო ნიშნისა თუ დიზაინის მფლობელს, თავისი ქმნილებიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევს. DL101GE-ს მიზანია, ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობის შესახებ, რათა უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდეს, შექმნან ღირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, რაც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. დარგში ცნობიერების ამაღლება საქპატენტის პრიორიტეტულ მიმართულებებშია და DL101GE ამის ნათელი მაგალითია. კურსი WIPO -ს მხარდაჭერით შემუშავდა, მისი გავლა ნებისმიერ პირისთვის უსასყიდლოდ არის შესაძლებელი, დისტანციურ რეჟიმში, ამასთან, ქართულ ენაზე.

- ვინ უძღვება კურსს?

- როგორც მოგახსენეთ, კურსი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის WIPO -ს მიერ არის შემუშავებული და მას WIPO-ს მიერ სერტიფიცირებული ტუტორები უძღვებიან, რომელთაც დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ და მათი გადამზადება WIPO-ს აკადემიის მიერ პერიოდულად ხორციელდება. ყველა მოდულს თავისი ტუტორი ჰყავს, რომლებიც სადისკუსიო ფორუმზე მონაწილეებს პრაქტიკულ განსახილველ საკითხებს სთავაზობენ, ატარებენ ვებინარებს და პასუხობენ მონაწილეების მიერ დასმულ შეკითხვებს. თეორიულ ცოდნასთან ერთად, კონკრეტული საკითხების პრაქტიკული განხილვა უადვილებს მონაწილეებს მასალის ათვისებას.

- რას მოიცავს DL101GE კურსის პროგრამა?

- კურსი 13 მოდულს მოიცავს და ფარავს ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტს: საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, სასაქონლო ნიშნებს, გეოგრაფიულ აღნიშვნებს, დიზაინს, პატენტებს და ახალ ჯიშებს. ასევე, სპეციალური მოდული ეთმობა არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, ინტელექტუალურ საკუთრებასა და განვითარებას და შესავალს ტრადიციულ ცოდნაში, ტრადიციულ კულტურულ გამოხატულებებსა და გენეტიკურ რესურსებში. მოდულებს ახლავს აუდიო ჩანაწერებიც, რაც მონაწილეებს მასალის უკეთ გააზრებაში ეხმარება. კურსის ხანგრძლივობა 6 კვირაა, თუმცა დროის მართვა მონაწილეს დამოუკიდებლად შეუძლია. როგორც უკვე აღვნიშნე, კურსზე დაიშვება ნებისმიერი ადამიანი,მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შემქმნელი. მაგალითად, სასაქონლო ნიშნის მოდულში განხილული საკითხები დაეხმარებათ დაინტერესებულ პირებს, გაიგონ, თუ რა შეიძლება დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშნად. ასევე, გეოგრაფიული აღნიშვნების მოდულის მასალებიდან მონაწილეები გაიგებენ, თუ როგორ შეიძლება პროდუქტზე რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება. ასევე, ის, თუ როგორ გამოგონებას იცავს პატენტი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის. საავტორო უფლების მოდულიდან, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ გაიგონ, თუ რისი დაცვაა შესაძლებელი საავტორო უფლებით და ა.შ.

- კიდევ რა დამატებითი სარგებელი შეიძლება პირს მოუტანოს DL101GE-**ს გავლამ**?

- კურსის ბოლოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტისა“ და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ერთობლივი, საერთაშორისო სერტიფიკატი გაიცემა. იმ პირებისთვის ვისაც სურვილი აქვს საბაზისო კურსის გავლის შემდეგ კიდევ გაიღრმაონ ცოდნა ინტელექტუალური საკუთრების დარგში, ეს სერტიფიკატი WIPO-ს აკადემიის უკვე სპეციალიზებულ კურსებზე დაშვების წინაპირობაა. სპეციალიზებული კურსები, როგორიცაა საავტორო უფლებები და კურსი სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის შესახებ არ არის უსასყიდლო, მაგრამ, საქპატენტის ინიციატივით და WIPO-ს მხარდაჭერით, იმ ათ მსმენელს, რომელიც ფინალური გამოცდას წარჩინებით ჩააბარებს და ყველაზე მაღალი ქულებს მოიპოვებს, დაუფინანსდება მისთვის სასურველ, ერთ კურსზე სწავლა.

ამირან (ბუჭა) ბაღდავაძე



ამირან (ბუჭა), ხომ ასე გეძახდნენ ვანელები დიხაშხოში, შენს საოცნებო ვაშლარაში. სულ პირზე გეკერა დიხაშხო ვაშლარა. ჩვენთან ახალი წელი სხვანაირად იციან, აღდგომასაც სხვანაირად ხვდებიანო. ვერაფრით ვერ შეიყვარე „სხვა სახლი, მეორე „კახეთის“ კუთხე. აქ მარტო იმიტომ იყავი, რომ რეზიკოს ვერ ელეოდი. უზომოდ გიყვარდა შენი ვანი, რომელსაც ძილში და ცხადში სულ ყოველ წუთს ახსენებდი. ამირან, თვალის პრობლემით შეწუხებულებს გამოგვრჩა მხედველობიდან, რომ გული გაგვეკონტროლებინა და წუთებში გამომეცალე ხელიდან. „ძალიან ცუდად ვარო“- 2015 წლის პარასკევს, 26 ივნისს, ღამის 11 საათზე წარმოსთქვი ეს სიტყვები და ვერაფერი გიშველეთ. ამის მერე ვარ გაოგნებული, გაჩუმებული და გაჩერებული. ეხლა მივხვდი, რა სუსტი ვყოფილვარ. შენით ვყოფილვარ ძლიერი.

მე რას გავხდებოდი, შენი ოცნების ასრულებაში, შენი ბიძაშვილ-მამიდაშვილები ყველანი მომეხმარნენ და წაგასვენეს შენებმა, ვანიდან ჩამოსულებმა. იქ კი ისე შეგხვდნენ და ჩაგეხუტნენ, როგორც ფილმებში, ჩემო ამირან. მშობლების გვერდში და ერთადერთი გარდაცვლილი დის საფლავის შუაში სამარეც დაგახვედრეს და დაგაბინავეს, როგორც გინდოდა. სულ ამბობდი, მე როცა მოვკვდები, ვანში უნდა დავიმარხოო და ასეც მოხდა.

იმ მომენტში მარტო იმაზე ვფიქრობდი, ღმერთო, ოღონდაც მოვიდნენ ბიჭები, ამირანს ეს ნატვრა აუსრულონ, მერე რაც გინდა, მოხდეს-მეთქი. ეხლა ვნანობ. მანდედან რომ წამოვედი, თავი არ ამიღია მაღლა, არც გზა მაინტერესებდა, არც ირგვლივ ხალხი. ასე მეგონა, მაინდან ჩამოსვლის მერე მოხვიდოდი ვანიდან თითქოს. მანდ დარჩი შენ და მე წამოვედი. ეს ხომ რეალობაა, მაგრამ სიმართლე არ მინდა დავიჯერო... ნათელში იყავ, ძვირფასო ადამიანო. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. დაველოდები იმ დღეს, როცა ზეციურ სოფელში ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ღმერთს ებარებოდე!

ჟუჟუნა და რეზიკო

ხსოვნა

ზაზა პოპიაშვილი

შენ ოცდაშვიდი გაზაფხული იკმარე მხოლოდ!

მეთექვსმეტედ...ფიქრიც კი მზარავს, რომ ასე გაზაფხული მოვა უშენოდ, ჩემო ზაზა.

ქრისტე აღსდგა, ზაზა! მეთექვსმეტედ ვხვდებით უშენოდ, შვილო. 16 წლის წინ, 24 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, უფალმა მიიბარა შენი ლამაზი სული.

16 წლის წინ სიყვარულსა და სიცოცხლეს აფრქვევდი, ყველა გიყვარდა, შენს ლამაზ ცოლ–შვილს ეფერებოდი, მათით ხარობდი, რას წარმოვიდგენდით, რომ ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდებოდა შენი სიცოცხლე. გყავდა ერთგული მეუღლე და ანგელოზი შვილი. ათას გეგმებს აწყობდით სამომავლოდ, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარაფერი გაცალა. ამ ქვეყნიდან მაშინ წახვედი, როცა შენს საყვარელ ნათიას და პატარა ლიკას სჭირდებოდი.

სად გეძებო, ჩემო ზაზა? ცაში რომელი ვარსკვლავის ციმციმს მივამსგავსო შენი ლამაზი მწვანე თვალების ბრწყინვა? ჰაერის რომელი მხრიდან ჩამოქროლება ეგონოს დედას შენი მოფერება?

მხოლოდ 27 წელი, მარად ახალგაზრდობა, ასეთი იყო შენი ბედისწერა, რატომ? ამას ვერავინ პასუხობს, რადგან ღმერთმა ასე ინება და რჩეულებს შორის მოგიჩინა ადგილი.

დედ-მამის მწუხარება უსაზღვროა, არანაირი გასაჭირი არ უტოლდება შვილის დაკარგვას, შვილისა, რომელმაც სიყვარულისა და სიცოცხლის ფასი ასე კარგად იცოდა.

16 წელი დედას აღარ უნახიხარ , შვილო, შენზე დანთებული ყველა ცრემლიანია, მოგიკვდეს დედა. შენი სული მფარველი ანგელოზად მოუვლინე შენს ლიკას, მას ხომ სიზმარივით ახსოვხარ, ის ხომ მხოლოდ 4 წლის იყო. ახლა 20 წლის არის ,ჩემო ზაზა.

რაც დრო გადის, უფრო მიჭირს უშენობა, ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ აღარ მყავხარ. უზომოდ მენატრები, შვილო. ყველაფერი ისევ სიზმარი მგონია და მინდა, ერთ დღესაც გავიღვიძო, დაგინახო, გულში ჩაგიკრა, მოგეფერო, დაგინახო, გულში ჩაგიკრა, მოგეფერო, დაგიკოცნო ლამაზი თვალები და გითხრა: „ძალიან მომენატრე, ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ და აღარ მიმატოვო მეთქი“, ძალიან მენატრები, შვილო და ისეთი ძლიერია ეს მონატრება, რომ თავს ვეღარ ვერევი, გიხმობ, გეძახი, მაგრამ არ მპასუხობ. სიცოცხლე სასჯელად მიქციე, შვილო. შენი ძმა ფრთამოტეხილი ჩიტივით დადის, ძალიან უყვარვარ და ენატრები. შენს სიყვარულს შენს შვილში იკლავს.

შენს მშობლებს, შენს ახლობლებს, შენს მეგობრებს მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ შენთან დაკავშირებული ყველა ლამაზი წუთი და მოგონება, მოვიდეთ საფლავზე, მოვეფეროთ შენს ლამაზ სევდიან თვალებს, ავანთოთ სანთელი და ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის.

შენი ოჯახი

მონატრება

თამაზ უზუნაშვილი

მეორე აღდგომა მოდის, ძმაო, რაც შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ვერც დრომ განკურნა და ვერც მიწამ გააგრილა ის დიდი ტკივილი, რომელიც შენი გარდაცვალებით არის გამოწვეული. რაც დრო გადის, უფრო დიდია მონატრება. ენატრები შენს ოჯახს, ცალუღლად დარჩენილ მეუღლეს. მიუხედავად შვილების დიდი მცდელობისა, რომ დედა მარტო არ იყოს, ის არ ტოვებს იმ კერას, საიდანაც შენ სამუდამოდ დაემშვიდობე.

ცხოვრებას ვეჩვევით უშენოდ, თუ ამას შეჩვევა ჰქვია. შენი გაზრდილი შვილიშვილები ყოველდღე გიხსენებენ. „-პაპამ მოგვიტანა, ეს პაპას ხელშეხებულია“ და ა.შ. ასევე ენატრები მარის, რომელსაც შვილიშვილებთან არ არჩევდი, უფროს შვილიშვილს ეძახდი და ყოველთვის ზრუნავდი მასზე.

მოდის აღდგომა, თამაზი, მაგრამ ის სიხარული არ არის, შენს სიცოცხლეში რომ იყო. გავყურებ გზას, მაგრამ შენ არსაიდან აღარ მოდიხარ. შენი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები მოდიან ჩემთან. ვცდილობ, ისე დავხვდე , რომ უშენობა არ იგრძნონ, მაგრამ რამდენად ვასრულებ ამას, არ ვიცი.

ძმაო,კიდევ ერთხელ გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მიწა. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს კეთილო ადამიანო.

ლამარა (დოდო) უზუნაშვილი

გიორგი გონაშვილი



15 აპრილი - ხომ შენი დაბადების დღეა, მეხუთე დაბადების დღე, მეხუთე გაზაფხული მოვიდა უშენოდ, ჩემო გაუხარებელო, სიცოცხლეზე და შენს პატარა სალომეზე თვალდარჩენილო - ჩემო გიო, მოგიკვდეს ბაბო. 29 წლის გახდი, მაგრამ, ვინ დაგაცადა სიცოცხლე და ამ ასაკამდე მიღწევა, შვილო. ვინ იცის როგორი ლამაზი და ტანადი ვაჟკაცი დადგებოდი ამ 5 წელიწადში. ძალიან გვაკლიხარ ,გიო. ძალიან ძნელია მონატრება საყვარელი ადამიანის – შვილიშვილის, ვისზეც დიდი ამაგი და სიყვარული მიმიძღვის. 5 წელია, თვალცრემლიანი გავყურებთ გზას, მაგრამ ამაოდ, შენ აღარსად ჩანხარ. ვიტანჯებით უშენოდ, შვილო, განადგურებული და უბედური დედა, და-ძმა. შენი ერთადერთი და პატარა დისშვილი გყავს, შვილო, ძია გახდი, მაგრამ შენ ვერ შეესწარი ვერაფერს. შენი ერთადერთი დანატოვარი შვილი - სალომე, წელს სკოლაში მივიდა. ბევრი მაქვს მოსაყოლი შენთან. მინდა, შვილო, ჩაგიხუტო და ბევრი რამე მოგიყვე. მოვალთ 15 აპრილს, დაბადების დღეს მოგილოცავთ, ფერადი ყვავილებით მოვკაზმავთ შენს სამუდამო სასუფეველს. მოგირწყავთ ცრემლით, დაგინთებთ უამრავ სანთელს და უფალს შევავედრებთ შენს ლამაზ, სპეტაკ სულს. იძინე მშვიდად, ჩემო მონატრებავ! ჩემო დიდო ტკივილო. უფალს ებარებოდე ,შვილო გიორგი (გონა).

დიდი მონატრებით:

ბაბო ნაირა თემურაზოვი, პაპა თიმურაზ ზამთრეული– ბიძა–ბიცოლა, ბიძაშვილები.

ფასდაკლება ქართულად - ანუ სალაროსთან გაცრუებული იმედები

თუკი ვინმეს გამოუცდია ახალი ფეხსაცმლით გამოწვეული ტკივილი, უნდა ითქვას, რომ მას ყველანაირი თუ არა, ერთ-ერთი „მნიშვნელოვანი“ ტკივილისთვის მაინც გაუძვლია. ვერ გეტყვით, ეს ტკივილი რამდენად არის სხვა გაუსაძლისი ტკივილის მსგავსი, მაგრამ, საკმაოდ მძაფრ რეალობასთან შეგუებას მაინც გვაიძულებს. ანდაც გვაიძულებს, მინიმუმ, ექსტრემალურად ახალი ფეხსაცმლის ყიდვას. ფეხსაცმლის მოულოდნელად ყიდვის პირველი ეფექტი, ხომ მისი სიახლეა. ახალი ფეხსაცმელი ახალ მიზნებამდე რომ მიგიყვანს - აი, რაღაც ამის მსგავსი.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ მე და ახალი ფეხსაცმელი ვერასდროს ვმეგობრობდით. მუდმივად იმის მტკიცებაში ვიყავი, რომ ახალი ფეხსაცმელებით შორს წავიდოდი, მაგრამ, ეს „შორი“ მანძილი, ყოველთვის, როგორც წესი, მხოლოდ თვალსაწიერამდე მონიშნული სახლები და მაღაზიები აღმოჩნდებოდა ხოლმე. არავითარი ახალი ფეხსაცმელი არ შეედრება იმის ცოდნას, რომ გზის ბოლოს ან შენი სახლია, ან სკვერი, სადაც ბედად შეიძლება თავისუფალი სკამიც აღმოჩნდეს, ან ფეხსაცმელების მაღაზია, ანდაც უბრალოდ მაღაზია, სადაც ნებისმიერ ფასად უნდა იყიდო ჯოჯოხეთიდან დახსნის რაიმე საშუალება.

გააზრებული ჯოჯოხეთი მაშინ იწყება, როდესაც ახალ ფეხსაცმელში, იმის იმედით, რომ ის მნიშვნელოვან დღეს მაინც არ გაგიცრუებს მოლოდინებს, ფეხს ნაზად შეასრიალებ. ფეხსაცმელი ამ იმედს მაშინ დაგაკარგვინებთ, როდესაც რამდენიმე მეტრს გაივლით და მიხვდებით, რომ რაღაც ისე ვერ წავიდა. „პირველად ჩაცმის ეფექტი და სიხარული“ სადღაც ქრება. მზად ხართ სამყარო გადაატრიალოთ, რომ რაიმე სანუგეშო იპოვნოთ. ფეხშიშველ სიარულზეც კი თანახმა იქნებით, ოღონდ შვება იგრძნოთ. ამ დროს რაზე ფიქრობთ? ფიქრობთ სადმე, როგორმე იაფად შეიძინოთ „ერთი დღით მაშველი“ ალტერნატიული ფეხსაცმელი, რაც ყოფას შეგიმსუბუქებთ.

და, აი ასპარეზზე ფასდაკლებებიც ჩნდება...ისინი თქვენს საშველად პირველივე მაღაზიიდან გეგებებიან...თითქოს მათი ხმებიც კი გესმით: „ქალის კედი მხოლოდ 6 ლარი, 10-ის ნაცვლად“, „წლის ტრენდი - სპორტული კომპლექტი + ქალის მოდური ბოტასი, მხოლოდ ჩვენთან, დიდი ფასდაკლებით“, „შემოდით, იყიდეთ და სალაროსთან მიიღეთ ფასდაკლება ნებისმიერ ნივთზე“ და კიდევ უამრავი „მაცდური“ ხმა თქვენს გარშემო. თქვენც სხვა გზა არ გაქვთ, რადგან ჯერ კიდევ ახალი ფეხსაცმლის მიერ მოგვრილ „პირველ სიხარულს“ „ეთამაშებით“. ყველაფერი რაც კლებასთან ასოცირდება, ადამიანისთვის, ძირითადად, მაცდურია. აი, მაგალითად, წონის კლება, გადასახადის კლება, ფას-დაკლება, თუნდ მაშინაც კი, როდესაც ეს რეალობასთან არც ისე ახლოა. ქაღალდზე დაწერილ ფასმაჩვენებელს თუ მესამე ფენას მოაცლით, ამაში ნამდვილად დარწმუნდებით. ქართული „სეილი“ ხომ ზუსტად იმით გამოირჩევა, რომ საწყისი ფასი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ე.წ ფას-დაკლება.

გეტყვით ორ სიტყვას, თუ როგორ მეგობრდებით და შორდებით თქვენ, ფასთა ცდუნება, ახალი ფეხსაცმლის ახალი სიხარული და ფასთა კლება. ყველაფერი კი იწყება ასე:

შედიხართ ხმათა საცდუნებელში. ძალით თავს მოხვეული ახალი ფეხსაცმელი ისევ გეძახით და თავბრუს გახვევთ ამ სიტყვის უკვე პირდაპირი მნიშვნელობით. რომელ ერთს უნდა გაუძლოთ? ფასთა ცდუნებისგან მოგვრილ თუ ახალი ფეხსაცმლის მიერ „უეცრად“ ნაჩუქარი სიხარულის თავბრუსხვევას? არჩევანი პირველის სასარგებლოდ კეთდება. ფასთა ცდუნება იმარჯვებს. ახალი ფეხსაცმლის სიხარული კუთხეში დგას და მაინც არ ნებდება. სიხარული, რაც უნდა იყოს, ჯიუტად იმეორებს, რომ ახალ გზებამდე მიგიყვანთ. ფასთა ცდუნება კი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ გრძნობას.

შედიხართ პირველივე, საოცრად თანამედროვე და კარგ ქსელურ მაღაზიაში. ყველაფერი რომ თავის ადგილზე დევს, ყველაფერს რომ თავის ფასი ადევს, ყველაფერი რომ ერთ სივრცეშია და ხვდები, მთელი მაღაზიის აწრიალების გარეშე სად რას უნდა

მიაგნო. მოკლედ, ქართული რეალობისთვის უიშვიათეს ადგილას ხართ. ფასთა ცდუნება მაშინ იწყებს აქტიურობას, როდესაც სხვა ფეხსაცმელების სექციაში ხვდებით. ახალი ფეხსაცმელების სიხარული პანიკას იწყებს და უფრო მაგრად გეჭიდებათ, რომ არსად გაუშვათ. სხვა ფეხსაცმელები სულ ახლოს არიან. მიდიხართ, არ ყოვნდებით, არჩევთ და დგება თქვენთვის სანუკვარი, მაგრამ ახალი ფეხსაცმლისთვის ბედკრული წამი: თქვენ ის უნდა მიატოვოთ. ცხოვრება მასავით ტკბილ-მწარეა, განშორებაც საჭიროა ხანდახან, რომ უფრო უკეთესად იგრძნოთ თავი. ერთი, ორი, სამი... და თქვენ დაშორდით ახალი ფეხსაცმლის პირველ სიხარულს. მეორე სიხარულის ჯერი დგება. პლუს ფასთა ცდუნებაც ბედნიერია. თქვენ ის იპოვნეთ, თანაც ერთი შეხედვით არც თუ ისე ძვირად, თითქმის ნახევარ ფასად, ვიდრე ელოდით.

ფას-დაკლება კი თამაშში შემოდის.

ფასთა ცდუნება ჯიბეში გიძვრებათ. ახალი ფეხსაცმელების ახალი სიხარული ბედნიერებისგან წკმუტუნებს და ფასთა ცდუნებისკენ მირბის - თქვენ სალაროსკენ. ფასთა ცდუნებისა და ახალი ფეხსაცმელების ახალი სიხარული ადგილზე შეშდებიან, როდესაც ფასთა დაკლება სალაროსთან, ერთი ნაბიჯით დაშორებულს, ზურგიდან გეპარებათ და გეუბნებათ: „ძვირფასო მომხმარებელო, იმედები უნდა გაგიცრუოთ, მაგრამ ჩვენ სტანდარტულ ფასებს ვუბრუნდებით, ცოტა, სულ ცოტა დაგაკლდათ, და ყველაფრით ბოლომდე ისიამოვნებდით, ფასთა ცდუნებითაც, ახალი ფეხსაცმლის ახალი სიხარულით და მეც დაგიმეგობრდებოდით, მაგრამ...ცხოვრება მწარ-ტკბილია. რეალობას დაუბრუნდით“.

ის ქრება...ფასთა კლება ქრება. სალაროდან 1 ნაბიჯის დაშორებით. რჩებით იმედგაცრუებული და გულნატკენიც. ამ დროს მეც, თქვენც და სხვასაც ყველაფერი გვავიწყდება, გარდა ნატკენი ფეხის პულსაციისა. თუმცა, ფასთა ცდუნება და ახალი ფეხსაცმლის ახალი სიხარული მამხნევებენ, გამხენევებენ, კიდევ უამრავ ადამიანს ამხნევებენ: „ყველაფერი ხდება, ქვეყანა ჭრელია, ვერაფერს გახდები, მთავარია, ჩვენ გყავართ, მომავალში ისწავლი, რომ ყველაფერი რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის და ყველაფერი რაც გესმის და წერია, არც თუ ისე ახლოსაა სიმართლესთან. ყველა საუთარ თავზე ფიქრობს, მაინც. ბოლო ესაა“.

ფასთა ცდუნება და ახალი ფეხსაცმლის ახალი სიხარული მეგზურებად გამოგყვებიან. მაღაზიიდან გამოსვლისას კი დაინახავთ, როგორ გაიელვებს ფასთა კლება ვიტრინებს შორის, ეშმაკურად გაგიღიმებთ, თვალსაც ჩაგიკრავთ და მომხმარებლებში გაუჩინარდება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

მგზავრობა კიდევ გაძვირდა...

საწვავის გაძვირებამ ტრანსპორტზე ფასები გაზარდა. დედოფლისწყაროში საქალაქთაშორისო ტრანსპორტით გადაადგილებისას მგზავრებს 8 ლარის ნაცვლად 10 ლარის გადახდა უწევთ. მძღოლების განცხადებით, ისინი დიდხანს თავს იკავებდნენ ფასის მატებისგან, მაგრამ საწვავის გაძვირებამ მათ სხვა გზა არ დაუტოვა.

„ჩემს „კლიენტებს“ ოჯახის წევრებისგან ვერც ვანსხვავებ, ამიტომ მგზავრობის გაძვირებისგან დიდხანს ვიკავებდი თავს, უხერხულობის განცდა მქონდა, მაგრამ დიზელის საწვავზე ფასი 4 ლარამდე ავიდა და ამან სხვა გზა აღარ დამიტოვა“ - ამბობს გაზეთ „შირაქთან“ ერთ-ერთი მძღოლი. მის აზრს იზიარებენ დედოფლისწყარო-თბილისის სამარშრუტო ტაქსის სხვა მძღოლებიც.

დედოფლისწყარო-თბილისის მიმართულებით მოძრავი ტაქსის ფასი საწვავის გაძვირებამდე 10 ლარი ღირდა. როგორც მგზავრები აცხადებენ, ახლა კერძო ტაქსით მგზავრობის საფასური 15 ლარამდე გაიზარდა. ამ ფაქტს უარყოფს ზოგიერთი ტაქსის მძღოლი და აცხადებს, რომ მგზავრობის საფასური არ შეცვლილა და ის კვლავ 10 ლარია, ინფორმაციის გავრცელებას კი სამარშრუტო ტაქსების მიერ მიზანმიმართულ ჭორად ნათლავს. რამდენიმე დღის წინ, ამ ბრალდების გამო, სოციალური სივრცე „საქმის გარჩევის“ ველად გადაიქცა - მძღოლები დისტანციურად უმტკიცებდნენ ერთმანეთს თავიანთ სიმართლეს. საბოლოოდ გაირკვა, რომ ტაქსების ნაწილი 10 ლარად ემსახურება მგზავრებს, მეორე ნაწილი კი 15 ლარს ითხოვს და ეს არა ჭორი, არამედ ფაქტია, რომელსაც მგზავრები თავად აფიქსირებენ.

დედოფლისწყაროში შიდა ტრანსპორტიც გაძვირდა. დედოფლისწყარო- წნორის მარშრუტის ღირებულება 5 ლარი, ხოლო სოფლებამდე-არბოშიკი, ზემო მაჩხაანი, მგზავრობა 2.50 ლარი გახდა. რაც შეეხება ქედების მიმართულებით მგზავრობის ღირებულებას, მან 4 ლარი შეადგინა.

მოსახლეობა აცხადებს, რომ მგზავროგის გაძვირება მათ ჯიბეზე უკვე აისახა, ამიტომ ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება იშვიათად იმგზავრონ. მგზავრების რიცხვის კლებაზე საუბრობენ მძღოლებიც. ისინი აღიარებენ, რომ ტრანსპორტზე ფასების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი, საწვავის გაძვირებასთან ერთად, მგზავრთა რიცხვის საგრძნობი შემცირებაც იყო.

ინგა შიოლაშვილი

ულოცავენ!

ლადო ნასრაშვილს!

ლადიკო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს პირად ცხოვრებაში. შენს გაზრდაში რთული გზა გამოვიარე, შვილო, მინდოდა, რომ ყოფილიყავი წარმატებული და კარგი ახალგაზრდა, მიაღწიე კიდეც შენი ცოდნით და ნიჭით. გისურვებ ყოველთვის წინსვლით გევლოს, სიხარულო. უფლის კალთა გფარავდეს.

შენი დედა ლუიზა

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 18.04	სამშაბათი 19.04	ოთხშაბათი 20.04	ხუთშაბათი 21.04	პარასკევი 22.04	შაბათი 23.04	კვირა 24.04
დღე	20 °	23°	23 °	19°	18°	19 °	19°
ღამე	7°	10 °	9 °	7°	7°	8°	9°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირონსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.